სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ყოველდღიურ შრომაში იქმნება კომუნიზმი

შენთვის, ჩემო სამშობლო!

ს. ფილაურის ბრიგადამ. დასახელებული ბრიგადები ახლა ყოველდღიურ გეგმებს 115-120 პროცენტით ასრულებენ.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ

სულ რამდენიმე დღის წინათ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხნის კოლექტივმა სამშობლოს უპატაკა შვიდწლედის მეოთხე წლის ათი თვის საწარმოო დავალებათა ბრწყინვალე შესრულება. პირნათლად გაანაღდა რა ოქტომბრის რევოლუციის 45-ე წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება, ქარხანამ სამშობლოს გეგმის გადამეტებით 156 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა. შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდით, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციით მიღებულია 63.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ქარხნის სახელოვანი კოლექტივი მიღწეულით არ კმაყოფილდება. წლიური საწარმოო გეგმა შევასრულოთ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით — ასეთია ამ სახელოვანი კოლექტივის მტკიცე გადაწყვეტილება. მთელ ქარხანაში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევის შესახებ. ახალი ძალით გაიშალა შემოქმედებითი შრომა პლენუმის ღირსეული შეხვედრისათვის. ქარხნის კოლექტივმა იკისრა ვადაზე ადრე, ცხრამეტი ნოემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადასცეს დადუღებული ღვინოების ავტომატური ხუთი ხაზი და ყურძნის პირველადი გადამუშავების განუწყვეტელი მოქმედების ერთი ავტომატური ხაზი.

ამ ვალდებულების გასანაღდებლად პლენუმისადმი მიძღვნილ შრომითის ვახტზე დადგნენ საამქროები და ბრიგადები, ცალკეული მუშები და სპეციალისტები. ყველა ცდილობს პირნათლად გაანაღდოს ნაკისრი ვალდებულება.

ქუთაისი. (საკ. კორ.). რკინიგზის ქუთაისის პირველი სადგურის კოლექტივი მიმდინარე წლის მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა მთელ ამიერკავკასიის რკინიგზაზე და გზის ხელმძღვანელობისა და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

ამ დღეებში სადგურის კოლექტივს პროფკავშირის საგზაო კომიტეტის დავალებით დროშა საზიმო ვითარებაში გადასცა ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის სამსახურის უფროსმა შ. იოსელიანმა. 30 მოწინავე რკინიგზელი დაჯილდოებულ იქნა ფულადი პრემიებით.

საპატიო ჯილდოს პასუხად ქუთაისელმა რკინიგზელებმა პირობა დადეს კვლავაც უწინწოდ და უკვარიოდ იმუშაონ, ამრავლონ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებები.

ზ ყიბული. (საკ. კორ.). შებინდდება თუ არა, ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარ კორპუსზე აკაშკაშდება წითელი ვარსკვლავი — გამამდიდრებელთა შრომითი წარმატების სიმბოლო. გრძელ კონვეიერზე მოდის, მოსრიალებს მაღალხარისხოვანი „შავი ოქრო". ფაბრიკის კოლექტივმა საკავშირო კონცენტრატის გამოშვების, ოქტომბრის დავალება 106,2 პროცენტით შეასრულა. კარგი წარმატებები აქვს ნოემბრის პირველ დღეებში.

დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელა თავი იმ კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ცვლამ, რომელსაც სამთო ტექნიკოსი ა. ბირკაძე ხელმძღვანელობს. ერთი ეშელონი ზეგეგმითი კონცენტრატი — ასეთია ამ ცვლის საოქტომბრო საჩუქარი.

ფ იათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში შენდება მადნის საფლოტაციო ფაბრიკა. იგი გადაამუშავებს მარგანეცის გამდიდრების შემდეგ გამოშვებულ ეგრეთწოდებულ შლამებს, შეამცირებს დანაკარგებს, და ანკარად იღებს შავი მდინარე ყვარილა.

მადნის ფლოტაცია ახალი საქმეა არა მარტო ჭიათურაში, არამედ საერთოდაც. ამიტომ პეროქსიდების გამამდიდრებელ ფაბრიკაში შეიქმნა მარგანეცის საფლოტაციო საამქრო. აქ საცდელ-საკვლევ სამუშაოებს აწარმოებენ მარგანტრესტის მადნის საცდელი საღგურისა და პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის თანამშრომლები.

საცდელი სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს. საამქრო შლამებიდან იღებს ქანგეულ და კარბონატულ მადნებს, რომლებსაც უგზავნის ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიულ ქარხნებს.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ქიმიურ-თერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების წარმოების კოოპერატივმა პირნათლად გაანაღდა წინასოოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება და პირველი ნოემბრისათვის 102,4 პროცენტით შეასრულა პრეპარატების გამოშვების წლიური გეგმა.

ახლა ამ წარმოების მუშაკები ვეტერინარულ პრეპარატებს მომავალი წლის ანგარიშში უშვებენ.

ნ ყალტუბო. (საკ. კორ.). „საქგუმბრინის" მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა სახახელოდ შეასრულა დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები. ნატეხი გუმბრინის მოპოვების ათი თვის გეგმა განაღდებულია 104 პროცენტით, ხოლო გუმბრინის დაფქვისა — 108,1 პროცენტით.

მაღაროელებმა გეგმასთან შედარებით 3,2 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, ამასთან მადნის თვითღირებულების შემცირებით 2.000 მანეთი შეიტანეს რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში.

ყველას გაუსწრო № 2 მაღაროს (უფროსი გ. მშვენიერაძე) კოლექტივმა, რომელმაც გუმბრინის ამოღების ათი თვის დავალება 109 პროცენტით შეასრულა. დიად დღესასწაულს თერმეტი თვის გეგმის ვადამდე შესრულებით შეხვდნენ ა. ფანჩულიძისა და შ. ხუციშვილის კოლექტივები, რომლებიც გრაფიკს უსწრებენ და ცვლაში ათობით ტონა ზეგეგმით მადანს იძლევიან.

ბ ათუმი. (საკ. კორ.). როგორც ყოველთვის, შვიდწლედის მეოთხე წელსაც კარგად მუშაობენ ბათუმელი მენავთობეები. დავალებათა ვადაზე ადრე განაღდებისათვის ბრძოლაში და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მენავთობეებმა ახალი შრომითი წარმატება მოიპოვეს. მოწინავე ქარხნის კოლექტივმა ვადაზე 5 დღით ადრე უპატაკა სამშობლოს ათი თვისა და ოქტომბრის გეგმის შესრულება.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა ამ ხნის განმავლობაში დაზოგა და შვიდწლედის ფონდში შეიტანა 144,7 ათასი მანეთი.

ბათუმელი მენავთობეები ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგნენ და ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმა გაანაღდონ 21 დეკემბრისათვის და სამშობლოს გეგმის ზევით მისცენ რამდენიმე ეშელონი ნავთობპროდუქტები.

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРЛАРЫ ГЕЛЕ ГЕЛЕ, БИРЛЕШИНИЗ!

ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРЛАРЫ ГЕЛЕ ГЕЛЕ, БИРЛЕШИНИЗ!

ПРОЛЕТАРЛАРІБО УСІЛА КРАЇНИ, ЄДНАЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРЛАРЫ ГЕЛЕ ГЕЛЕ, БИРЛЕШИНИЗ!

ПРОЛЕТАРЛАРІБО УСІЛА КРАЇНИ, ЄДНАЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 270 (12478) | შაბათი, 17 ნოემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომობენ, იმარჯვებენ

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 45-ე წლისთავის სასიხარულო დღეს შრომაში გამარჯვების იერით საზეიმო ტრიბუნას ამაყად ჩაუარეს თბილისის სართავსტრიკოტაჟო კომბინატის ადამიანებმა, რომლებმაც სამშობლოს, პარტიას უპატაკეს ათ თვეში გეგმის გადამეტებით ერთი მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქციის გამოშვება. ეს კომბინატის მთელი კოლექტივის სახელოვანი და თავდადებული შრომის ნაყოფია.

ამ კომბინატის მრავალრიცხოვანი კოლექტივის შრომითი შემართება სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ათ თვეში აქ გეგმის გადამეტებით 123 ტონა ნარეთის ძაფი გამოუშვეს და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 246 ათასი მანეთით შეამცირეს. დაზოგილია 68 ტონა ბამბის ნედლეული, 1.101 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 214 ტონა პირობითი საწვავი. მთელი რიგი ტექნიკური ღონისძიებების გატარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა მომუშავეთა შრომა, რის შედეგად მკვეთრად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

საამქროების, ბრიგადების დიდმა ნაწილმა, ცალკეულმა მუშებმა უკვე გაანაღდეს წლიური დავალებანი და ახლა პროდუქციას უშვებენ მომავალი წლის ანგარიშში. პირველობას არავის უთმობს ძაფის სახვევ-საგრეხი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც უნარიანად უძღვება ნ. დავლაშელიძე. ბრიგადამ ვადაზე ორი თვით ადრე გაანაღდა წლიური დავალება და მომავალი წლის ანგარიშში რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია მისცა ქვეყანას. თავდადებულ შრომაში დაწინაურდა და წლიური გეგმა ოქტომბრის დღესასწაულისათვის გაანაღდა მრთველთა საამქროს

ასეთია მათი პიროგა

ახმეტა. (საკ. კორ.). ღვინო „ახმეტა"! გასაც ეს კეთილშობილური ღვინო უგემია, ქებით იხსენიებს მის სამშობლოს— ახმეტას, მარჯვენას დაულოცავს მევენახეებს.

წელს ყურძენი უხვად მოვიდა. ახმეტელებს 7050 ტონა ყურძენი უნდა მიეყიდათ სახელმწიფოსათვის, ფაქტიურად 8300 ტონაზე მეტი მიპყიდეს. ამ საქმეში თავი ისახელეს ქისტაურის, მატნის, ალვანის, ახმეტის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ცნობამ სკკპ ცეტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევის წესებს ახმეტელ მევენახეთა შორის ახალი შრომითი ეთუზიაზმი გამოიწვია. მექანიზატორები ვენახებში ნიადაგს ხნავენ, კოლმეურნეები ვაზის ძირებს ბარავენ, სასუქები შეაქვთ. ამ მხრივ წინ მიდიან ზემო ხოდაშნის, ხორხელის, ქისტაურისა და სხვა კოლმეურნეობები.

ახმეტელი მევენახეები პირობას დებენ მომავალ წელს თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერი ყურძენი მიიღონ. აქ არც ახალი ვენახების გაშენებას ივიწყებენ. პლანტაჟის მომზადება დამთავრდა. 10 დეკემბრამდე 400 ჰექტარით გაადიდებენ ზვრების ფართობს.

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

სამამულო მრეწველობის სახელოვანი მუშაკები ჭეშმარიტად გმირულ შრომას ეწევიან, რათა თავიანთი შრომითი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში. უკანასკნელ წლებში საქართველოს მრეწველობას ბევრი ახალი ტექნიკურად სრულყოფილი საწარმოები შეუმატა, შეიქმნა და საექსპლოატაციოდ გადაეცა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საამქროები, მთელი უბნები.

ყოველდღიურად იზრდება მრეწველობის პროდუქციის მოცულობა, იქმნება სიუხვე, ურომლისოდაც შეუძლებელია კომუნიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. ემზადებიან რა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად, მრეწველობის მუშაკები არ კმაყოფილდებიან ყოველთვიური გეგმების შესრულებით. ბევრი მათგანი ახლა შრომობს, რათა პლენუმის გახსნის დღისათვის გაანაღდოს წლიური დავალება, და ამ შრომაში მნიშვნელოვანი წარმატებაც მოიპოვეს.

პირველ სურათზე თქვენ ხედავთ რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის ლუხუმის დარიშანის სამადნო მოედანზე მეხრე ელენ გიორგი ლობტახიძეს. იგი მონდომებით შრომობს წლიური გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს. წელს აქ დაიწყო „პედ-10" ტიპის ელექტროძრავის სერიული წარმოება. ასეთი ძრავის საშუალებით შესაძლებელია ნავთობის ამოქაჩვა 5 ათასი მეტრის სიმაღლიდან. უკვე გამოშვებულია ახალი მექანიზმების პირველი პარტია, რომელიც მეგობრობის

დევიზით გაიგზავნა აზერბაიჯანისა და ბაშკირეთის ნავთობის სარეწაოებზე. ქვემო სურათზე ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. ლიპოვცევი (მარცხნივ) და ელექტრშემხვევი ჯ. მებურიშვილი.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქკლისის ფოტოკორონიკა).



ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

რამდენი სიხარული და შრომა ჩაქსოვილი საქართველოს მევენახეთა გამარჯვებაში. ეს წარმატება ყველას ახარებს. 205 ათას ტონაზე მეტი ყურძენი! არასოდეს არ ყოფილა ასეთი უხვი მოსავალი. ამ დიდ საქმეში ჩემი წვლილიც არის.

გაწეულმა შრომამ სასიხარულო ნაყოფი გამოიღო. ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, არ დაიშურა ძალღონე უხვი მოსავლის მოყვანისათვის. სანიმუშოდ დამუშავებულმა 13 ჰექტარმა ვენახმა გაგვახარა. საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 173 ცენტნერი ყურძენი.

ეს წარმატება ზღვარი როდია. ამიტომ ბრიგადის მევენახეები თავდადებით შრომობენ ზვრებში და დროულად ასრულებენ საშემოდგომო სამუშაოებს. ვენახი რიგთა შორის უკვე მოხნულია, მთავრდება ძირების შემოთარგა სასუქის შეტანით. ყველა პირობას ვქმნით იმისათვის, რომ მომავალ წელს უფრო უხვი მოსავალი მივიღოთ.

გ. მჟელდიშვილი,
სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ — 5 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს შახტმშენებლობის ტრესტის ბოლნისის სამმართველოს მუშებმა და მეშონტაჟეებმა სამშენებლო სამუშაოთა ათი თვის გეგმა შეასრულეს 106,7 პროცენტით. დაბა მადნეულში საექსპლოატაციოდ ვადამდე გადაეცა 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი და ხუთი ერთბინიანი სტანდარტული სახლი.

სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულება შემცირდა 6,4 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3,8 პროცენტისა. (საქდესი).

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ — ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სულ მოკლე დროში 150 ჰექტარზე აკრეს, მოიტანეს და ქარხანას ჩაბარეს ძვირფასი ეთერზეთოვანი კულტურის — რეპანის მწვანე მასა. შულავერის ქარხნის დირექციამ შეაჯამა მიმდინარე სეზონში ჩაბარებული რეპანის მწვანე მასის რაოდენობა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.460 ტონისა, მიღებული და გადამუშავებულია 3.200 ტონა. ეს წარმატება საჩუქრად უძღვნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

პ. ლონდარიძე.

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის კოლექტივმა ათი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვადამდე 106,9 პროცენტით შეასრულეს, ძნიშნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება და 253 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს. განვლილი დროის მანძილზე რამდენიმე ათეული ელმავალი გამოუშვეს და 158 ათასი მანეთი შეიტანეს შვიდწლედის ეკონომიის ფონდში.

ქარხნის კოლექტივმა გადადებული ვალდებულება იკისრა. გადაწყვეტა წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულოს და სამშობლოს ათობით ელმავალი მისცეს. კოლექტივი ამისათვის იბრძვის, რომ ელმავლებას გამოშვების შვიდწლედის გეგმა ექვს წელიწადში შეასრულოს.

ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევის შესახებ ელვის სისწრაფით მოედო ჩარხიდან ჩარხს, საამქროდან საამქროს. პლენუმის შესახვედრად ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა ვალდებულება იკისრეს ათთვისონ ელმავლის ელექტროაპარატურის ახალი კომპლექტი ჯგუფური გადამრთველებისა და ელექტრონეგმატური ჩამრთველებისათვის, რომელშიც გამოყენებული იქნება პლასტმასები. ითვისებენ ელმავლის ახალ აპარატს — ვენტილატორების გადამრთველს.

ქარხნის საკონსტრუქტორო განყოფილებამ ვალდებულება იკისრა ათთვისოს და დაამზადოს ინეგმატური ჩამრთველების ცეცხლსაქრობი კამერის კედლები. ამასთანავე ქარხანაში დაინერგება ელმავლის დეტალების დამამზადებელი 30 სხვადასხვა სახის ტვიფრი.

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ

სააპარატო საამქროს ზენკალმა შ. დეკესტრაშვილმა ვალდებულება იკისრა სრულყოს ელმავლის ცალკეული დეტალების დამზადების ტექნოლოგია და სერიულად დანერგოს წარმოებაში.

შ. დეკესტრაშვილის ინიციატივას გამოეხმაურა ანზორ კეკელაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადა. ამ ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს დაჩქარონ და ანრიგით დაგეგმილ დროსთან შედარებით ორი დღით ადრე გადასცენ წარმოებაში ელმავლის წევის ძრავის ღუზების დახვეა.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

წელს უკეთ მუშაობენ ჭიათურელი რაციონალიზატორები — შემოქმედებითი აზრის ადამიანები. მათ სამეურნეო წელს დასაწყისიდან 282 რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანეს. აქედან მიღებულია 133 წინადადება, რომელთაგან წარმოებაში დაინერგა 82. ჯერჯერობით ეკონომიური ეფექტი გამოთვლილია 37 წინადადებაზე, რითაც დაზოგილია 415.150 მანეთი. ყოველ დანერგილ წინადადებაზე ეკონომია 11.220 მანეთს უდრის.

რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან შედარებით კარგად მუშაობენ დიმიტროვის, ლენინის, კალინინის სახელობის მაღაროთა ხელმძღვანელები. რაციონალიზაცია-გამომგონებლობის საბჭოები, ისინი დროულად განიხილავენ და ნერგავენ საქმიან წინადადებებს.

ღირებული წინადადებებიდან საყურადღებოა ინჟინრების ვ. გეწაძისა და დ. ჩიხელაძის წინადადება. მათ მოახდინეს მოკლეკონფლიანი ტიპის „სპიმონსის" სამტვრეველას მოდერნიზაცია.

მნიშვნელოვანი წინადადების ავტორია № 11 მაღაროს ნორმადარი გ. თაბაგარი. მისი წინადადებით დამზადდა მძლავრი ვაგონების თვითდამცარებელი მოწყობილობა. იგი ლენინის სახელობის მაღაროში გამოსცადეს. შედეგი კარგია. მისი გამოყენებით საელმავლო შემადგენლობაში ვაგონების რაოდენობა 25 პროცენტით აზოგდება. გამორიცხულია შემადგენლობის გამოკცევა. და ამით გამოწვეული შეფერხებანი.

მარტო დიმიტროვის სახელობის მაღაროში დანერგილი ინჟინერ შ. რიყამაძის წინადადება 12.300 მანეთს ზოგავს.

ე. გაფრინდაშვილი.
მარგანეცის ტრესტის რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ინჟინერი.

ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ბოლიტიკური ლიტერატურის საბჭოთა სახელმწიფო გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით ბროშურად გამოუშვა ა. ნ. კოსიგინის მოხსენება საზეიმო სხდომაზე კრემლის ყრილობათა სასახლეში 1962 წლის 6 ნოემბრს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავი". (საქდესი).

ᲬᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ტოკიო. 15 ნოემბერი. (საქდესი). ყველა ცდის მიუხედავად, შეერთებული შტატები კვლავ ჩამორჩებიან საბჭოთა კავშირს რამდენიმე წლით. ასეთ დასკვნამდე, მიდის პოპულარული იაპონური ყოველკვირეული „სიუკან სანეი", როცა ადარებს ორი ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს კოსმოსური რაკეტების შექმნის დარგში. მაღალ შეფასებას აძლევს რა საბალანტათშორისო სადგურ „მარს-1"-ს, რომელიც განაგრძობს ფრენას კოსმოსის სიღრმეში, ჟურნალი აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატები აპირებენ თავიანთი კოსმოსური ხომალდი მარსისაკენ გაგზავნონ მხოლოდ 1965 წელს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ნათქვამია ყოველკვირეულში, ამერიკის საბალანტათშორისო სადგურის წონა ნაკლები იქნება იმ სადგურთან შედარებით, რომელიც დღეს მიმკრის ამ პლანეტისაკენ.

ამერიკელებს, რომლებიც ამ ბოლო დროს მოწმე გახდნენ საბჭოთა კოსმონავტების მსოფლიოში პირველი ჯგუფური გაფრენის და „მარს-1"-ის გაშვებისა, აღნიშნავს ჟურნალი, დიდად გაუცრუვდათ იმედი იმის გამო, რომ არ შეუძლიათ დაეწიონ საბჭოთა კავშირს.

ᲒᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲘᲔᲛᲔᲜᲨᲘ

კაირო, 15 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ალ-აჰრამის" კორესპონდენტი იემენიდან იუწყება, ძალებმა, რომლებიც მხარს უჭერენ იემენის დამბობილ მეფეს, გუშინ განახორციელეს რამდენიმე შეტევა სარვის რაიონში (პუნქტი, რომელიც საადის აღმოსავლეთით მდებარეობს), მაგრამ უკუგდებულ იქნეს მნიშვნელოვანი ზარალით.

ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲨᲘ — ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საუდის არაბეთში ჩავიდა ამერიკის საძხედრო-საჰაერო ძალების „სეიბრის (ლათინური ასო ფ)-100" ტიპის ექვსი ზებგერითი თვითმფრინავი, იუწყება რეიტერის საგენტოს კოოპერესპონდენტი ერ-რიადიდან.

ამერიკის სამხედრო-საჰაერო მისიის წარმომადგენელმა ერ-რიადში განაცხადა, რომ თვითმფრინავები თურქეთზე გამოვლით ჩამოვიდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან „ჩვეულებრივ ვიზიტად" და რამდენიმე დღეს დაჰყოფენ საუდის არაბეთში.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲚᲐᲰᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ბონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრთან შტრაუსთან მოსალაპარაკებლად ჩამოვიდა ინგლისის თავდაცვის მინისტრი ტორნიკროფტი. როგორც დპას საააგენტო იუწყება, მოლაპარაკების მსვლელობაში განიხილავენ „დასავლეთის თავდაცვითი პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლებს". გარდა ამისა, გათვალისწინებულია აზრთა გაზიარება ევროპაში ინგლის-დასავლეთ გერმანიის თანამშრომლობის შესახებ, რასაც „შეიძლება მოჰყვეს ევროპის ატომური საბელმწიფოს შექმნა".

ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ორი დღე იყო სტუმრად საქართველოში ფინეთის დეპეშათა ბიუროს გენერალური დირექტორი კულერვო კილინენი, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში.

ბ-ნ კილინენს შეხვედრა მოუწყეს რესპუბლიკური და ცენტრალური გაზეთების წარმომადგენლებმა. ფინეთის დეპეშათა ბიუროს ხელმძღვანელი მიიღო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორმა ი. ი. ჩხიკვაშვილმა. კულერვო კილინენი ესაუბრა საქართველოს დეპეშათა საააგენტოს — საქდესის დირექტორს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ვ. ი. ჭიაურელს.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

სოფია, 15 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვახშამი გამართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობაზე მყოფი კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა პატივსაცემად.

ვახშამზე სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტოდორ ჟივკოვმა.

ვახშამზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. ა. სუსლოვმა.

ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ

კლინიკიდან გამოსაოვლელ ცენტრს ავადმყოფის ისტორიაში შეტანილი ცნობები გადასცეს:

— ჩვენ კონსილიუმი გვაქვს. ვფიქრობთ, რომ ეს სისხლის ცხრა მსგავსი დაავადების ერთ-ერთი შეთხვევაა.

— მოიცადეთ ტელეფონთან,—სთხოვა მორიგე ინჟინერმა. წუთის შემდეგ ძან აცნობა დიაგნოზი.

პასუხი კონსილიუმის გადაწყვეტილებას დაემთხვა.

— ეს საკვირველი არ არის. „ელექტრონული ექიმი" არასოდეს არ შემცდარა, — თქვა ტაშკენტის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვ. გ. მიხაილოვმა.

„მედიცინის ნიჭი" ელექტრონულ მანქანას აღმოაჩნდა უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. კ. კაბულოვის ახალ შრომებთან დაკავშირებით. ამჟამად მანქანას შეუძლია დაადგინოს დიაგნოზი.

ბავშვთა მთელი რიგი დაავადებებისა და პლევრიტების დიაგნოსტირებაზე ელექტრონული მანქანის გამოცდის შემდეგ მანქანას ახალი პროგრამა მისცეს. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. გ. მიხაილოვმა და უფროსმა ინჟინერმა კ. ხიდოიატოვმა შეიმუშავეს პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა შეცნობილ იქნეს სისხლის ცხრა დაავადებიდან ერთ-ერთი სამოცდათვრამეტი სიმპტომის მიხედვით. სიმპტომთა რიცხვი „მეხსიერებაში" განუსაზღვრელია.

ე. ეფიმოვი.
საკდესის კორესპონდენტი.
ტაშკენტი, 15 ნოემბერი.

ᲛᲐᲠᲡᲘᲡ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲖᲣᲡᲢᲔᲑᲣᲚᲘᲐ

მოსკოვი, 15 ნოემბერი. (საკდესის კორესპონდენტი). ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ არსებული თეორია მარსის მოძრაობისა მიახლოებითი იყო. დროის თითოეულ მომენტში შეცდომა სივრცეში ამ პლანეტის ადგილის განსაზღვრისას რამდენიმე ათას კილომეტრს აღწევდა. საბჭოთა მეცნიერებმა — ციური მექანიკის სპეციალისტებმა აღმოფხვრეს ეს ცდომილება, რომელიც შეუწყნარებელია პლანეტის თანამედროვე კვლევის დროს, განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მ. ს. იაროვიანოვიმ.

გარდა იმისა, რომ დაზუსტდა მარსის, აგრეთვე თითონ დედამიწის კოორდინატები, როგორც საპლანეტათშორისო რაკეტების გასაშვები ისეთი მოედნისა, რომელიც ადგილს იცვლის, შესრულებულია ვენერას და მეჩკურის კოორდინატების გამოკვლევა.

ვენერასა და მარსისაკენ საპლანეტათშორისო სადგურების გაშვებასთან, კოსმოსში ადამიანის გაფრენასთან დაკავშირებით ციური მექანიკის პრობლემებს დიდი აქტუალობა მიენიჭა. ეს სამუშაოები საჭიროა დედამიწიდან ზზის სისტემის პლანეტებისაკენ კოსმოსური ხომალდების მომავალ გაფრენათა გაანგარიშების შესასრულებლად. პლანეტების გამოკვლევასთან ერთად ციური მექანიკის სპეციალისტებმა დაზუსტეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მოძრაობა.

ᲮᲣᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲛᲐᲠᲡᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

„ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს", — საკდესის ცნობის ეს სიტყვები ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურთან „მარსი-1" დამყარებული კავშირის მორიგი სეანსის შესახებ სიხარულსა და სიამაყეს იწვევს საბჭოთა ადამიანების გულში. სადგურმა უკვე გაიარა დაახლოებით ხუთი მილიონი კილომეტრი გზა — თერმეტჯერ მეტი, ვიდრე დედამიწიდან მთვარემდე არსებული მანძილია. ტემპერატურა და წნევა სადგურის „მარსი-1" კორპუსში შენარჩუნებულია ნორმალურ პირობებში.

ეს ავტომატური ინსტრუმენტები ელექტრ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

მიზანსწრაფვა, ძიება, შემოქმედება

სიახლენი

მარგანეცის მრეწველობაში



მარგანეცის ქალაქის მახლობლად აღმართულია ცამეტსართულიანი შენობა, რომელიც აუცილებლად მიიქცევს ჭიათურაში პირველად მოხვედრილი ადამიანის ყურადღებას. იგი ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პროექტირების გამამდიდრებელი ფაბრიკაა.

ეს ფაბრიკა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი პირველი ავტომატიზებული მძლავრი საწარმოა არა მარტო ჭიათურაში, არამედ საბჭოთა კავშირის მარგანეცის მრეწველობაშიც.

მეხუთე სართულზე მოზრდილ დარბაზში მოთავსებულია სადისპეტჩერო პულტი; ეს არის, ასე ვთქვათ, ფაბრიკის შტაბი, ტვინი, საიდანაც ხორციელდება ყველა მექანიზმისა და დანადგარის ავტომატური მართვა და კონტროლი. მათი მუშაობისადმი. აქვეა სატელევიზიო მოწყობილობა, რომელიც უჩვენებს მუშაობას საპაერო საბაგირო გზაზე.

ავტომატურად იზეთება ფაბრიკის ყველა დანადგარი და მექანიზმი. ავტომატები ახორციელებენ კონტროლს დანადგართა საკისრებისა და ძრავების გრაგნილების გადახურებაზე. სადისპეტჩერო პულტიდან მოძრაობაში მოჰყავთ ფაბრიკის ზედა ბაქანი, სამტვრეველა, მკვებავები, განივი ლენტი. მაგნიტური სეპარატორები, სალექი მანქანები. ავტომატურად ხდება წყლის მიწოდება სოლინოიდური ვენტილების საშუალებით. ორიგინალურია სალექი მანქანებიდან კონცენტრატის განტვირთვა. ამიერიდან ეს პროცესი ავტომატურად განხორციელდება.

ნედლეულში ხშირად შერეულია ლითონის ნატეხები. მექანიზმებში მათი მოხვედრა აზიანებს დანადგარს, აფერხებს ტექნოლოგიურ პროცესებს. ამის თავიდან ასაცილებლად ლენტურ კონვეიერზე მოწყობილია მაგნიტური დამჭერები, რომლებიც იჭერენ შავ ლითონებს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ისინი უძლური არიან ფერადი ლითონების დაჭერაში. ამიტომ ფაბრიკაში დაიდგა სპეციალური ელექტრონული ბლოკი, რომელიც სიგნალს იძლევა, როცა ნედლეულში ფერადი ლითონის ნატეხები მოხვდება. აქვე მოეწყო სიმკვრივის მარეგულირებელი იზოდრომული რეგულატორი, რომელიც საგრძნობლად ამცირებს მადნის დანაკარგს, ზრდის ხარისხს.

სადისპეტჩერო პულტიდან ხორციელდება ავრეთვე რადიოკავშირი ფაბრიკის სართულთა შორის.

ფაბრიკის ავტომატური მართვის პროექტები მომზადა „ავტომატმრეწვის" რუსთავის ინსტიტუტის სამთო განყოფილებამ, რომელსაც შ. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობს. პროექტანტთა ჯგუფს უძღვებოდა ინჟინერი რ. ლაშხაური. მათ მხარდამხარ მუშაობდნენ მარგანტრესტის ახალი ტექნიკის განყოფილება და ფაბრიკის კოლექტივი.

ავტომატური მართვის მოწყობილობანი დაამონტაჟეს ტრესტ „იუგმონტაჟავტომატიკის" თბილისის სამმართველოს ბრიგადებმა ინჟინრების ა. კოსარისა და ზ. ელაშვილის ხელმძღვანელობით. სამუშაოების კეთილსინდისიერი შესრულებით გამოირჩეოდნენ ბემონტაჟეები კ. კირაკოსოვი, ს. კაპანაძე, ი. დავითულიანი და სხვები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45 წლისთავის ზეიმის დღეებში განხორციელდა პროექტირების გამამდიდრებელი ფაბრიკის ავტომატური მართვა. ეს პირველი მერცხალია ჭიათურაში. ეს არის შემოქმედებითი აზრის შესანიშნავი გამარჯვება. მაგრამ მაინც პირველი ნაბიჯი. წინ დიდი სამუშაოები, ფართო პორიზონტია. ავტომატიკა უნდა შეიჭრას ყველა უბანიკაში. მაღაროში, საპაერო საბაგირო გზებზე.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: ინჟინერი ბ. კიკნაძე (მარცხნივ) და მემონტაჟე ი. დავითულიანი მუშაობის დროს.

ჩვენი ახალი აქტივი

სულ უფრო იზრდება გურჯაანელ მშრომელთა წელილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ რაბაზის შექმნის დიდი ამოცანის გადაწყვეტაში. რაიონის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაღიღებული შემოქმედებითი შრომა შეიდწყლდას დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის. მეკვნახეებმა უკვე უპატაკეს სამშობლოს, რომ ყურძნის სახელმწიფო შესყიდვის 1962 წლის გეგმა შესრულებულია ოთხი ათასი ტონის გადაჭარბებით.

გურჯაანის მოსახლეობის საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობის სათავეში უდგას რაიონის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში ორი ათას ცხრაასზე მეტ კომუნისტს ითვლის. პარტიის XXII ყრილობის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა და კომუნისტების აქტივობა, გაძლიერდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული შუშაობა. ეს ნათლად გვიჩვენა ახლახან ჩატარებულმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა, სადაც კომუნისტები იჩენდნენ დიდ აქტივობას, საქმის ღრმა ცოდნას და შეგნებულ დამოკიდებულებას პარტიული ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის არსებითი საკითხების გადაჭრისადმი.

ცნობილია, რომ XXII ყრილობის მიერ მიღებულმა პარტიის ახალმა წესდებამ დააკანონა პარტიული ორგანოების შეძენილ-გენლობის სისტემატური განახლებისა და ხელმძღვანელობის მონაცვლეობის პრინციპი. ამ პრინციპის განხორციელების საფუძველზე ჩვენი რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში მოვიდნენ ახალი კადრები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, სამრეწველო საწარმოთა წარჩინებული ადამიანები, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც პირველად იქნენ არჩეული პარტბიუროს წევრებად და მდივნებად. მაგალითად, პარტბიუროს შემადგენლობაში არჩეული 318 კომუნისტიდან 169 პირველად აირის არჩეული.

პარტიის რაიონული კომიტეტის უპირველესი ამოცანაა სისტემატური დახმარება გაუწიოს პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით ახლად არჩეულ მდივნებს. პარტიის გურჯაანის რაიკომმა მათთან უკვე ჩაატარა საინსტრუქტაჟო თათბირები პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყების საკითხზე. განხრახული გვაქვს ამ დღეებში მოვაწყოთ პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარი პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული შუშაობის საკითხებზე. პარტორგანიზაციების ახლად არჩეულ მდივნებს პარტიული მუშაობის ცალკეულ საკითხებზე მოუთხრობენ, განმარტებას და რჩევა-დარიგებას მისცემენ რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკები და გამოცდილი პარტიული აქტივისტები.

პარტორგანიზაციის ბევრი ახლად არჩეული მდივანი პირველი დღეებიდანვე უხარიანად შეუდგა მუშაობას, დარაზმა კომუნისტები საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებისა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ კარდანახის მეკვნახეობის საბჭოთა მეურნეობის ახლადარჩეული პარტბიურო და მისი მდივანი შალვა გელაშვილი.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამომლაღნდა, რომ კარდანახის მეკვნახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში ასორმოცდაათ კომუნისტს ერთიანებს, სუსტად მუშაობდა, მეურნეობის მუშათა შორის ჯეროვან სიმაღლეზე არ იყო დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, სუსტად ხორციელდებოდა პარტიული კონტროლი დირექციის სამეურნეო საქმიანობისადმი. პარტბიუროს ახლადარჩეულმა მდივანმა შალვა გელაშვილმა პარტიის რაიკომის ინსტრუქტორ მიხეილ მედულაშვილთან ერთად შეადგინა სამუშაო გეგმა, რომელიც პარტიული მუშაობის ყველა უბანს მოიცავს, გაანაწილა დავალებები კომუნისტებს შორის და უზრუნველჰყო პარტიული გავლენის გაძლიერება მეურნეობაში, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება. მეურნეობის მუშათა მთელი კოლექტივი კომუნისტების ხელმძღვანელობით დაირაზმა საბჭოთა შესრულებისათვის.

უფრო ნაყოფიერად დაიწყო მუშაობა საბჭოთა მეურნეობის პოლიტიკური განათლების კაბინეტმა და ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქციამ, რომლებიც შექმნილია საზოგადოებრივ საწყისებზე. ვიცხოვროთ და ვიშრომოთ ზაგლადასებურად, ყოველმხრივ მოწინავე გავხადოთ ჩვენი საბჭოთა მეურნეობა და მთელი სოფელი — ასეთია კარდანახელი კომუნისტების მისწრაფება, რომელსაც ერთსულოვნად იზიარებენ სოფლის მშრომელები.

ორი წლის წინათ მიიღეს სკკპ რიგებში ელდარ იმერლიშვილი. იგი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაება ფიზიკურ შუშაობაში, ახლა კი გურჯაანის საკონსერვო ქარხნის ერთ-ერთი საამქროს უფროსია. ამ დღეებში იმერლიშვილი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. ახლადარჩეულ მდივანს გვერდში ამოუდგნენ კომუნისტები, ხოლო პარტბიუროს ყოფილი მდივანი ოთარ ხუნაშვილი, რომელიც ქარხანაში დამზადების განყოფილებას ხელმძღვანელობს, მას აქტიურად დაეხმარა სამუშაო გეგმის შედგენაში, პოლიტიკური სწავლების სხვადასხვა ფორმაში კომუნისტებისა და კომკავშრომელების ჩაბმაში და სხვა პრაქტიკულ საქმიანობაში.

ახლადარჩეულმა მდივანმა პირველი დღეებიდანვე იგრძნო პარტიულ მუშაობაში კოლექტიური ხელმძღვანელობის ძალა და სიკეთე. იგი ინტერესით სწავლობს პრაქტიკულ მუშაობაში წამოჭრილ საკითხებს. პარტიულმა ბიუროომ დაწერილებით შეისწავლა ქარხნის მუშაობის „ვიწრო ადგილები" და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად განახორციელა ქმედითი ღონისძიებები. ახლა ქარხანა გადამეტებით ასრულებს ყოველდღიურ საწარმოო დავალებას, და გამოშვებული პროდუქციაც მაღალი ხარისხისა.

ასევე აქტიურად, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით შეუდგნენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას პირველადი პარტიული ორგანიზაციის ახლადარჩეული მდივნები — მასწავლებელი ესმა კოპაიშვილი სოფელ ახაშნის საშუალო სკოლაში, აგრონომი გიორგი შავლიაშვილი სოფელ ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, მეთანქანე ივთანდილ გიორგობიანი. გურჯაანის საორთქლმავლო დეპოში და სხვები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჩვენი დიადი პარტიის საფუძველია. ამ ძირეულ რგოლში, მასების შუაგულში წყდება კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული, ყოველდღიური საკითხები.

შ. ბასილაშვილი,
საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.

მცირე დანაკარგი — მეტი ხორცი

შვიდწლიანი გეგმით ფრანგლის ხორცის წარმოება უახლოეს წლებში უნდა გაიზარდოს 2,3-3,0 მილიონ ტონამდე, ე. ი. ერთ სულ მოსახლეზე უნდა მოდიოდეს 13-15 კილოგრამი ფრინველის ხორცი, ხოლო კვერცხის წარმოება აყვანილ იქნას 37 მილიარდ ცალამდე წელიწადში.

მეფრინველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გაზრდა, მათი თვითღირებულებას შემცირება შეიძლება მიღწეულ იქნას მტკიცე საკვები ბაზის შექმნით, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვით და სხვ.

მაგრამ ყველა ამ პირობის შექმნა საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მისი მეორე, მეტად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი პირობაა ფრინველთა ორგანიზმის მაღალი ცხოველუნარიანობის აქტიური ფიზიოლოგიური მდგომარეობის შექმნა. უამისოდ შეუძლებელია ცხოველთა პროდუქტიულობის მომატება და პროდუქტის სიუხვის შექმნა.

მეცნიერებამ დიდი ხანია დაადგინა და პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ცხოველთა პროდუქტიულობის ამაღლების ფიზიოლოგიურ საფუძველს საკვების მონელების და ნივთიერებათა ცვლის გაზრდა წარმოადგენს.

მართალია, ცხოველს საკვების მიღებულად არათუ რაიმე პროდუქციის შექმნა, არამედ სიცოცხლეც არ შეუძლია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყოველთვის რაც უფრო მეტ საკვებს მიიღებს ცხოველი, მით უფრო მეტ პროდუქციას მოგვცემს.

ფრინველის ორგანიზმის ცალკეულ სისტემათა სათადარიგო ძალები და სარეზერვო საშუალებანი მაქსიმალურად რომ იქნას გამოყენებული მიღებული საკვებიდან ხორცისა და კვერცხის შესაქმნელად საჭიროა ამ სისტემათა სტიმულირება, მათი ცხოველუნარიანობის გაზრდა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თაურს გამოსვლებში რუსეთის ფედერაციის ცენტრალური რაიონების საწარმოო სამმართველოების მუშაკთა თათბირზე და სოფელ კალინოვკაში აღნიშნა, რომ საჭიროა მთელი სერიოზულობით მოკიდოთ ხელი ქსოვილოვანი პრეპარატების გამოყენებას მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში, რადგან მეცნიერების ამ სიახლის გამოყენებით იქმნება შესაძლებლობა ზედმეტი საკვების დაუხარჯავად დამატებით მივიღოთ ათასობით ტონა ხორცი.

ქსოვილოვანი პრეპარატი, რომლის დამზადება ძალიან იაფი ჯდება, ფრინველს უფრო ხშირად საკვებთან ერთად ეძლევა, რისთვისაც მას ფხვნილის სახით ამზადებენ. ამისათვის სასაკლაოზე, ფრინველს დაკვლილან არაუგვიანეს 1-2 საათისა, იღებენ პარენქიმულ ორგანოებს, პლაცენტას, ნაყოფს და 4-5 დღე-ღამის განმავლობაში ათავსებენ მაცივარში ალუს 4-5 გრადუს ტემპერატურაზე. ამის შემდეგ ქსოვილს აშრობენ 80-90 გრადუსზე და ხელის წისქვილში ფქვავენ. 1959-1960-1961 წლებში ჩვენ მიერ ამგვარად მომზადებული ქსოვილოვანი პრეპარატი წიწილების ზრდა-განვითარებაზე გავლენის ეფექტურობის დადგენის მაზნით გამოცდილ იქნა თბილისის მეფრინველეობის საინკუბაციო სადგურში და სამგორის მეფრინველეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში.

ცდები ეწყობოდა წიწილების სამ ჯგუფზე. წიწილების პირველი და მეორე ჯგუფი მეურნეობის ძირითად რაციონთან ერთად იღებდა ქსოვილოვან პრეპარატს 0,5 გრამის რაოდენობით დღე-დამეში, ხოლო მესამე ჯგუფი იღებდა მხოლოდ ძირითად რაციონს, ქსოვილოვანი პრეპარატის მიუცემლად.

ცდის დაწყებიდან ერთი თვის ბოლოს პირველი ჯგუფის ერთი წიწილის საშუალო წონა უდრიდა 520 გრამს, მეორე ჯგუფისა — 532 გრამს, ხოლო მესამე ჯგუფისა — 437 გრამს, ე. ი. პირველი და მეორე ჯგუფის თვითეული წიწილა, რომელსაც ქსოვილოვანი პრეპარატი ეძლეოდა, იწონიდა 83-95 გრამით მეტს, ვიდრე მესამე ჯგუფის წიწილა.

ცოცხალი წონის საშუალო სადღეღამისო მატება ცდის მთელი პერიოდის განმავლობაში პირველი ჯგუფის წიწილისა იყო 17,33 გრამი, მეორე ჯგუფის — 17,73 გრამი, ხოლო მესამე ჯგუფისა — 14,56 გრამი.

ამრიგად, ცდის 30 დღის განმავლობაში ქსოვილოვანი პრეპარატის გამოყენებით პირველი და მეორე ჯგუფის წიწილებში დამატებით მიღებულ იქნა 3,0-3,6 კილოგრამი ფრინველის ხორცი.

ცდების დროს დაახლოებით ასეთივე შედეგები იქნა მიღებული სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ცდის ერთი თვის განმავლობაში საცდელი ჯგუფის თვითეულ წიწილაზე, საკონტროლოსთან შედარებით, დამატებით მიღებულ იქნა 68-135 გრამი ფრინველის ხორცი.

შემდეგი ცდები ქსოვილოვანი პრეპარატის გამოყენებით ჩატარდა ათი დღის ასაკის წიწილებზე. აღნიშნული ასაკის წიწილებში ქსოვილოვანი პრეპარატის გამოყენება, ცოცხალი წონის მატების მხრივ, საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა.

ქსოვილოვანი პრეპარატების გამოყენება მეფრინველეობაში შესაძლებელს ხდის დამატებით მიღებულ იქნას მრავალი ათასი ტონა ფრინველის ხორცი. ამას რომ მივაღწიოთ, საჭიროა ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერების სიახლენი, შეგასწავლოთ ადამიანებს მათი გამოყენება, მოვაწყოთ ქსოვილოვანი პრეპარატების წარმოება.

საჭიროა მთელი სერიოზულობით მოკიდოთ ხელი ქსოვილოვანი პრეპარატების გამოყენებას მეფრინველეობაში, რომ მივაღწიოთ ფრინველის მაღალ პროდუქტიულობას საკვების მცირე დანახარჯით.

ბ. ფიცხელაური,
დოცენტი.

მოველით დახმარებას

ღია წერილი კიროველ ჩარხმშენებლებს

„კომუნისტის" პატივცემულო მკითხველებო, ჩვენს პატარა წერილში გვინდა გიამბოთ შესანიშნავ საბჭოთა ადამიანებზე, ქართველ ახმანაგებზე, რომლებთანაც მუშაობთ და რომლებსაც ყოველდღე ხვდებით, ადამიანებზე, რომლებსაც საჭიროდ შიაჩნიათ დაეხმარონ თავიანთ ამხანაგებს, თუ მათ რაიმე უჭირთ.

ასე იყო ამჯერადაც, როცა შორეული ყაზახეთიდან თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში მიიღეს წერილი ჩვენგან, ირტაშის № 2 ჭრილის კოლექტივის მშრომელთაგან.

ჩვენი ჭრილის ამოცანაა ეკობასტუზის ქვანახშირის უმდიდრესი საბადოს — ყაზირის ამოღება და ახალი ყაზირის გახსნა. სახელმწიფომ ჩვენ ჩაგვბარა მძლავრი თანამედროვე ექსკავატორები, საბურღავი ჩარხები და სხვ.

ჭრილის მუშაკები ბევრ ძალღონეს ახმარენ საწარმოო დავალებათა შესრულებას და ამაში წარმატებები აქვს მაღაროელთა ახალგაზრდა კოლექტივს, რომელმაც უკვე დაიმსახურა პატივისცემა. წარმოების საუკეთესო მუშაკთა შორის არიან სოციალისტური შრომის გმირი „ეკგ-4" ექსკავატორის მემანქანე მ. თ. ვოზნი და ბევრი სხვა.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს სარემონტო ბაზა, რაც ხელს გვიშლის ექსკავატორთა პარკის რემონტის გეგმიან წარმოებაში, ფუშავს მოწესრიგებლობის რემონტის გრაფიკებს. საჭიროდ გვესაჭიროებოდა „163" მოდელის სახარატო ჩარხი. 1962 წლის ფონდებით კი იგი არ იყო ჩვენთვის გამოყოფილი.

ასეთ მდგომარეობაში ჭრილის კოლექტივმა მიმართა კიროვის სახელობის ქარხნის ჩარხმშენებლებს და, როგორც ჩანს, ტაუილად როდი მიუმართავს. ყამირი მხარიდან შორს მცხოვრები შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც იცნობენ ჩვენი საწარმოს ამოცანას, მიხვდნენ მის საჭიროებას და დათანხმდნენ მოეწყოდებინათ ჩვენთვის სახარატო ჩარხი. მათ თხოვნით მიმართეს მანქანათმშენებლობის მთავარ სამმართველოს მოეცა ჩვენთვის განაწესი ჩარხის მიღებაზე და იკისრეს გეგმის ზევით გამოშვათ ეს ჩარხი და გამოეგზავნათ ჩვენთვის.

და აი განაწესი უკვე მიღებულია, ხელშეკრულება ჩარხის მოწოდებაზე დადებულია, და ირტაშის ჭრილის მშრომელები დარწმუნებული არიან, რომ სახარატო ჩარხი, რომელიც ჩვენ ასე ძალიან გვესაჭიროება, სასწრაფოდ იქნება გამოგზავნილი ეკობასტუზში. ეს იქნება გეგმის ზევით, შესაძლოა არასამუშაო დროს. ჩვენი ქართველი ძმების ხელით შექმნილი ჩარხი, საბჭოთა ადამიანებს შორის მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთდახმარების სიმბოლო.

ირტაშის № 2 ჭრილის კოლექტივის სახელით:

ჭრილის უფროსი ვ. ბასკინი, ადგილკომის თავმჯდომარე ნ. ლიპოვაკა, პარტორგანიზაციის მდივანი ე. აუბაქიროვი, ჭრილის მთავარი ენერგეტიკოსი ნ. ბელიკი.

ხობის რაიონი. ფოდო შველიძე ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო შეველია. იგი უკვე 25 საფუძველ ძროხას და ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს წველადობის ყოველთვიურ დავალებას. სურათზე: ფ. შველიძე.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.
(საქ. ფოტოქრონიკა).



სიუხვე, ბარაქა

ჩვენი მეურნეობის კოლექტივმა წლის დასაწყისიდანვე მოგვა არ მოაკლო ციტრუსოვანთა ნარგავებს, რომლებსაც 86 ჰექტარი უჭირავს. იგი გადაშლილია მდინარე ჭოროხის მარცხენა მხარეს, ზღაპრული სილამაზის გორაკებზე. მინეერალური და ორგანული საუკეთესო შეგანასთან ერთად არც სიმეჩხრის ლიკვიდაციას ვივიწყებთ. მარტო წელს ბაღებში 18 ათას ძირზე მეტი ციტრუსოვანთა ნერგი გამოვრგეთ. შეგაკეთეთ მისასვლელი გზები, მოვამარაგეთ სეკატორები, კალათები, ყუთები.

შემოდგომის თბილმა და მზიანმა ამინდებმა დაიჭარა ციტრუსოვანთა ნაყოფის „რთველი". უკვე მასობრივად დაგიწყეთ მანდარინის კრეფა. მშრომელებს უკვე გავეგზავნეთ 100 ტონაზე მეტი ოქროსფერი ნაყოფი სადღესასწაულო სუფრის დასამშვენებლად. სულ მოკვრეფთ 140 ტონაზე მეტ მანდარინისა და ფორთოხლის ნაყოფს, 150 ათას ცალ ლიმონს. ეს კი თითქმის 30 ტონით აღემატება გასული წლის შედეგებს.

განსაკუთრებით დაწინაურდა ის აგრონომიფიდია, რომელსაც კ. გოგუაძე ხელმძღვანელობს. ჯეგმის გადაეტანებინ 6 ტონა მანდარინსა და 12 ათას ცალ ლიმონს ჩააბარებენ ი. მეგანაძის ბრიგადის მეციტრუსეები.

მეურნეობას ბევრი მოწინავე მეციტრუსე ჰყავს. ერთი მათგანია კარლო სულაქველიძე. მან გადაყვიტა 0,5 ჰექტარი ბაღის თითეულ ხეზე მიიღოს 1.000 ცალზე მეტი მანდარინის ნაყოფი. ასევე კარგი წარმატებები აქვთ ი. დუმბაძეს, ნ. გონჩარენკოს, შ. ზაქარაძეს და სხვ.

— მივცეთ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი ქართული ციტრუსების ნაყოფი! — ასეთია ჩვენი მეურნეობის კოლექტივის გადაწყვეტილება.

ა. ძნელაძე,
ბათუმის რაიონის გონიოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

იყალთოელები ერომიოს ვასტზე

წარმატებით დამთავრა მიმდინარე წლის რთველს სეზონი სოფელ იყალთოს (თელავის რაიონი) ღვინის ქარხანამ. აქ გეგმით გათვალისწინებული 2.700 ტონა ყურძნის ნაცვლად მიიღეს და გადაამუშავეს 3.005 ტონა.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის საქმეში განსაკუთრებით ისახელა თავი იყალთოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც 1.122 ტონა ყურძენი მიაყიდა სახელმწიფოს, რუსისპირის კოლმეურნეობამ — 516 ტონა, ზემო ხოდაშნის კოლმეურნეობამ — 294 ტონა.

გ. შათირიშვილი,
თელავის რაიონის სოფელ იყალთოს ღვინის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი.

რუსთავის ფოლადი

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდი შრომითი აღმავლობაა მეტალურგიული ქარხნის საამქროებში. ქართველი მეტალურგები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს საოკტომბროდ ნაკისრი ვალდებულებანი, ახლა მთელი ენერგიით შრომობენ, რათა უკეთესი მაჩვენებლებით შეხვდნენ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს.

მარტენის საამქროში შრომითს ვახტს ეწევა გ. ჩაჩანიძის კომუნისტური შრომის ბრიგადა. გაეცნო რა ცნობას პლენუმის მოწვევის შესახებ, ბრიგადირმა ჩაჩანიძემ თქვა:

— ჩვენ, ქართველმა მეტალურგებმა, ვალდებულება ვიკისრეთ წელს გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 2 ათასი ტონა ფოლადი. პირობას ვდებთ ეს ვალდებულება პლენუმის გახსნის დღისათვის გადაჭარბებით შევასრულოთ. ჩვენი ბრიგადის სახელით სიტყვას ვიძლევი, რომ ყოველდღიურ ნორმას 130 პროცენტით შევასრულებთ.

ასეთივე ვალდებულებები იკისრეს მეტალურგებმა გ. ბენდიანიშვილმა, ბ. ძაგანიამ, გ. ბერეკაშვილმა და სხვებმა.

ლენინური პარტიის გმირული გზა

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის" სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა

გამოვიდა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია". სახელმძღვანელო მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ბ. ნ. პონომარიოვის (ხელმძღვანელი), ი. მ. გოლკოგის, მ. ს. ეოლინის, ვ. ს. ზაიცევის, ა. პ. კუჩერენის, ი. ი. მინცის, ლ. ა. ლატპუხოვის, ა. ი. სობოლევის, ბ. ს. ტელეტინსკის, ა. ა. ტიმოფეევსკის, ვ. მ. ხვოსტოვის შემადგენლობით. გამოცემა მეორე, შეგსებული. მ. პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, 1962 წ., 784 გვ.

„კომუნისტი"
№ 2-ის გვერდი, შაბათი, 17 ნოემბერი, 1962 წ.

* „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია". სახელმძღვანელო მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ბ. ნ. პონომარიოვის (ხელმძღვანელი), ი. მ. გოლკოგის, მ. ს. ეოლინის, ვ. ს. ზაიცევის, ა. პ. კუჩერენის, ი. ი. მინცის, ლ. ა. ლატპუხოვის, ა. ი. სობოლევის, ბ. ს. ტელეტინსკის, ა. ა. ტიმოფეევსკის, ვ. მ. ხვოსტოვის შემადგენლობით. გამოცემა მეორე, შეგსებული. მ. პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, 1962 წ., 784 გვ.

ნაჩვენებია უდიდესი მუშაობა პარტიისა, მისი ცენტრალური კომიტეტისა ნ. ს. ხრუშჩოვის შეთაურობით პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის პარტიისა და სახელმწიფოს ყველა რგოლში, საგარეო და საშინაო პოლიტიკის სფეროში, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. დაწერილია ორი ახალი თავი: თავი XVIII — „პარტია-კომუნისტური საზოგადოების გაწლილი მშენებლობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი (1959-1961 წლები)" და თავი XIX — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. პარტიის ახალი პროგრამა".

XVIII თავში გაშუქებულია ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენები ჩვენი პარტიის, საბჭოთა ქვეყნის, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ცხოვრებაში, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში და საერთაშორისო ასპარეზზე 1959-1961 წლებში. სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა საბჭოთა კავშირის შესულა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, დიდი ნიშანსვეტი იყო კომუნიზმისაკენ სსრ კავშირის განვითარების გზაზე. ყრილობამ განაზოგადა ამ პერიოდის ძირითადი ამოცანები და მიიღო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. წიგნის უკანასკნელი თავი მიძღვნილია სკკპ XXII ყრილობისადმი. მასში გაშუქებულია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ყრილობისა, როგორც კომუნიზმის მშენებლობა ყრილობისა, შეჯამებულია პარტიის მეორე ლენინური პროგრამის შესრულების შედეგები, მოცემულია დახასიათება პარტიის ახალი პროგრამისა, რომელიც წარმოადგენს სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების ფილოსოფიურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ დასაბუთებას. სახელმძღვანელოში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მისი შეაუშავებით XXII ყრილობამ დიდი წვლილი შეიტანა მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში.

წიგნში ნაჩვენებია კანონზომიერებანი სოციალიზმის გადაზრდისა კომუნიზმში, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის სამი მთავარი ამოცანის გადაჭრის გზები. ეს ამოცანებია: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის კომუნისტურ ურთიერთობად გარდაქმნა, ახალი ადამიანის აღზრდა.

დაწერილებით გაშუქებულია საკითხი მუშათა კლასის პარტიად გადაქცევისა საერთო-სახალხო პარტიად, მისი როლის ამაღლებისა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში, რასაც სკკპ XXII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო. გაშუქებულია პარტიის წესდებაში შეტანილ ცვლილებათა ხასიათი, ხაზგასმით აღნიშნულია შინაპარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების სრული გამაჯანსაღა, პრინციპული მნიშვნელობა პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართულია პიროვნების კულტის ყოველი რეციდივის თავიდან აცილებისაკენ.

წიგნში ნაჩვენებია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის — კომუნისტური პარტიის დიდი ორგანიზატორისა და ბელადის რევოლუციური მოღვაწეობა. ჩვენი პარტიის სახელოვანი ისტორია და ვ. ი. ლენინის ტიტანური მოღვაწეობა, რომელიც მთლიანად მოხმარდა პარტიას, მუშათა კლასს, მშრომელებს, მათა ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის. წიგნში შერწყმულია ერთიანად და განუყრელ მთლიანობად. ყოველმხრივ გვიჩვენებენ რა ვ. ი. ლენინის უმდიდრეს იდეურ მემკვიდრეობას, ავტორები წიგნში მოკლედ გადმოგვცემენ მისი სამოცზე მეტი ნაწარმოების შინაარსს.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს დამატებებს, რომლებიც გვიჩვენებენ პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებსა და ხელმძღვანელობის პრინციპებს, მუშაობის ლენინურ სტილს. ლენინური სტილის უმნიშვნელოვანესი ნიშანია კოლექტიურობა პარტიული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და პრაქტიკის ყველა საკითხის გადაჭრაში. ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპის თანმიმდევრულად განხორციელება ემსახურება სტალინის პიროვნების კულტის მავნე შედეგების წარმატებით დაძლევის საქმეს, პარტიის ყველა წევრის აქტივობის, კომუნიზმის მშენებლობაში პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლებას.

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესაბამისად წიგნში მოცემულია სტალინის პი

ილია ჭავჭავაძის დაბადების 125 წლისთავისათვის

დიდი საუნჯენი

ალექსანდრე ბარამიძე

ქართული პოეტური კულტურის მშვენება — შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი იყო ილია ჭავჭავაძის უსაყვარლესი წიგნი. ილიას სიტყვით, ქართველმა ერმა ვეფხისტყაოსანს „შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩააბნა თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი". რუსთაველის პოემა ქართველობას „წმინდათა-წმინდა" ეროვნულ რელიკვიად მიაჩნდაო. იმით „ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი", „იმით ჩვენ თავს ვიწონებთ, ვქადულობთო". ვეფხისტყაოსანი ილიასათვის იყო შემოქმედებითი ცხოვრების მასაზრდოებელი უშრეტი სულიერი წყარო. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთათვის, უწინარეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძისათვის, ვეფხისტყაოსანი წარმოადგენდა ყოველივე ამაღლებულსა, მშვენიერსა და სიკეთის წარმტაც სიმბოლოს, რომელიც ნათლად ცხადყოფდა მისი შემქმნელი ერის კულტურული მოწიფულობის ძალას და ამდენნაირად ეკმაოტანლად ასაბუთებდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღლისაგან მისი განთავისუფლების კანონიერ უფლებებს. ქართველი ერის ღირსებათა სწორუპოვარი ქომაგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ფხიზელ გუშაგად უდგა რუსოველის სასიქადულო სახელს.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ვეფხისტყაოსანში სრულიფოფილად არის შეხამებული ღრმა შინაარსი და ნატიფი პოეტური ფორმა. ვეფხისტყაოსანი უკვდავიაო, ამბობდა ილია, როგორც პოეტური „ფორმით", ისე „თავისი შინაგანი ღირსებებით" და „მშვენიერი ენით". რუსთაველის ბრძნული აფორიზმები ობოლი მარგალიტებივით თინათინობენ ილიას ნაწერებში, ისინი ხშირად ეპიგრაფებად ამკობენ როგორც მის მხატვრულ ნაწარმოებებს, ისე პოლემიკურსა და პუბლიცისტურ წერილებს. მაგალითად, „კაკო უანაღლ" ეპიგრაფად უძღვის: „მიეც გლახაკთა საკუთრკელ, ათავისუფლე მონები; მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები". „ჰრდილოს" ეპიგრაფია: „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამკვნაროს, იგი წვა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". „მოყვარე მტერი ყოველსა მტრისაგან უფრო მტერია" — ეპიგრაფად ურთავს ილია თავის ცნობილ მგზნებარე პუბლიცისტურ წერილს „კაკავოვის პასუხად". „ოთარაანთ ქვრივის" VIII კარს საეპიგრაფოდ აქვს რუსთაველის სიტყვები „გასტეხს ქვასაცა მაგარსა". „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებითო", ოდნავ შეცვლილი ფორმით იმეორებს ილია ჭავჭავაძე რუსთაველის სიტყვებს თავის წერილში „ქართველი სტუდენტობა რუსეთში" და ა. შ.

ვეფხისტყაოსნის ზემოქმედება განსაკუთრებული მკაფიობით ემჩნევა „გლახის ნაამბობს". „გლახის ნაამბობის" შინაარსს მსგავლავს რუსთაველის ჰუმანისტური იდეები, აქ ბევრია ვეფხისტყაოსნის აფორიზმები და პოეტურ გამოთქმათა პერიფრაზები (მაგალითად, „წავიდა ივიცა, ვითა სიზმარი ღამისა"). „გლახის ნაამბობით" ილია ჭავჭავაძე თვალსაჩინოს ხდის ვეფხისტყაოსნის დიდს აღმზრდელობითს მნიშვნელობას ქართველი მკითხველისთვის საზოგადოდ, კერძოდ კი მოზარდი თაობისთვის. მომაკვდავ გლახას შეუძახნია რუსთაველის სიტყვებით „სადაური სადა ვკვდებით" და დაუმოწმებია პოემის ტექსტი („ვა, სოფელო, რაზოგან ხარ"). ამის გამო ავტორი ურთავს: „მე, აბა, წარმოიდგინეთ, რა-რიგად გამიკვირდებოდა ძონძებში გახვეულის გლახისაგან ეს ვეფხისტყაოსნის სიტყვები... ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინ! მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა უკვდავო რუსთაველო". ვეფხისტყაოსნის აღმზრდელობითობა და შემეცნებითის მნიშვნელობას უსვამს ხაზს ილია ჭავჭავაძე თავის პერსონაჟის პირით: „ბევრგან იმის სიტყვები გაპირვებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიადვილებენ. ვულს და გონებას გაგიწვრთნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ". იმავე პერსონაჟის სიტყვით (პერსონაჟი გამოთქვამს ავტორის აზრებს) ვეფხისტყაოსანი „ქართველების გულის საუნჯეა". „ვენაცვალე შენს დამწერსაო", გრძნობით ამბობს გლეხის ბიჭი გაბრო. „გლახის ნაამბობში" მხატვრული ენით მოკლედ განმარტებულია რუსთაველის მოძღვრება ძმობა-მეგობრობაზე, მოყვას ის სიყვარულზე, ქალის ღირსებაზე, ადამიანის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე, მოვალეობის გრძნობაზე და ა. შ. ილია ჭავჭავაძის ამ ნაწარმოებიდან შეიძლება საყურადღებო მეთოდიკური დასკვნის გამოტანა ვეფხისტყაოსნის ტექსტის გარკვეული თანამიმდევრობით დამუშავების თაობაზე. მოძღვარმა გაბროს ჯერ „როსტევანის ამბის" კითხვა დაწყებინა. შეკითხვაზე „რატომ თავიდამ არ მაწყებინებო", მოძღვარმა უპასუხა: „ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზედ უნდა. თავი უფრო ძნელია, მგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც; თუნდ ეს არ იყოს, აბბაპი აპედამ იწყება. მერე, როცა მე და შენ კარგად მიგხვდებით, მაშინაც მოვეწერებით მაგის გადაკითხვასა". ეს ნაწყვეტი იმასაც გვირკვევს, თუ როგორ კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს ვეფხისტყაოსნის პროლოგის („თავის") მნიშვნელობა, მისი ტექსტობრივ-აზრობრივი მხარის სირთულე.

უკანასკნელი დროის კვლევაძიებით ცხადი ხდება, რომ „კაცია-ადამიანის" სათაურის გააზრება ჩაგონებულია ვეფხისტყაოსნით. ავთანდილმა რომ პირველად ასპათი დაიხილეა, ქალმა იუცხოვა და კიდევი მორთო. ავთანდილი მას ეხვეწებოდა დამშვიდებას: „ეტყოდა: სულე, რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი". ე. ი. გაჩუქდი, დაწყნარდი, რა უნდა გიყო, კაცი ვარ, ადამიანი. მოყვანილი ტაეპის კაცი და ადამიანი სინონიმური სიტყვებია, აი ეს სინონიმური კაცი და ადამიანი უდევს საფუძვლად ილია ჭავჭავაძის ჩანაფიქრს. დამფრთხალსა და შემკრთალ თამოსაც („გლახის ნაამბობი") გაბრო თითქმის ავთანდილის სიტყვებით მიმართავს: „ქალო! რა მიგარბევინებს? მგელი ხომ არ ვარ, ბიჭი ვარ, ადამიანი". „კაცია-ადამიანის" საგულვებელ გაგებას კიდევ უფრო ნათელყოფს ამ მოთხრობის წინასიტყვაობის ვარიანტები. წინასიტყვაობის მესამე ვარიანტთი მგზავრმა (ავტორმა) აშმორებული გუბიდან რაღაც სულიერი არსების მსგავსი რამ გამოათრია და შეეკითხა: „ვინა ხარ, რა სულიერი ხარ?"—„კაცი ვარ, ადამიანი, — მიუგო იმანაცა". გაკვირვებული მგზავრი გულწრფელად აცხადებს: „რომ არ გეთქო, ღმერთი, რჯული, ვერ მივხვდებოდი. მართლა კაცი ხარ, ადამიანი?" მგზავრს გადაწყვეტილი აქვს მზის სინათლეზე გამოიყვანოს ეს უცნაური ცხოველი. ქვეყანას უნდა ვაჩვენო, რაც „კაცი ხარ, ადამიანო". წინასიტყვაობის მეოთხე ვარიანტითაც ხაფანგში მოპწყვდეული ცხოველი ირწმუნება „კაცი ვარ, ადამიანი" და თავის ვინაობასაც გვაცნობს: „თავი არ მამიკვდება! კაცი ვარ, ადამის ტომისა, ყმისა და მამულის პატრონი, ლუარსაბ თათქარიძეს მეძახიან". მოყვანილი ტექსტები ეჭვებს აღარ ტოვებს. რომ ილია ჭავჭავაძის ენაზე კაცი და ადამიანი სინონიმური ცნებებია, ეს ცნება — სახეები მსგავსი შინაარსით გამოყენებული აქვს შოთა რუსთაველს. ილია ჭავჭავაძე ამ შემთხვევაში მეტყველებს ვეფხისტყაოსნის ენით. ილია ჭავჭავაძემ თავისი დანაპირები ბრწყინვალედ შეასრულა, მკითხველ საზოგადოებას მაღალი მხატვრულობით დაუხასიათა წუმპიდან გამოთრეული ცხოველის კაცობა და ადამიანობა. ამიტომაც „კაცია-ადამიანი" დეფისით კი არ უნდა გაიყოს, არამედ ნიშნით მძიმე (,), სახელდობრ უნდა ვწეროთ: „კაცია, ადამიანი?".

ჩვენ აღარ შევჩერდებით ილია ჭავჭავაძის სხვა მხატვრულ ნაწარმოებებზე, რომელთაც აღმეტდილი აქვთ ვეფხისტყაოსნის ზემოქმედების ნაკვალევი. ილია ჭავჭავაძეს აქვს საკუთრივ რუსთველოლოგიური ნაშრომები და ცალკეული რუსთველოლოგიური შენიშვნები. უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, უნდა დავასახელოთ ილიას განოქმული წერილი „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი".

ილია ჭავჭავაძის ეს წერილი წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების ღრმა კონკრეტული ანალიზის საუკეთესო ნიმუშს. მოკლედ, მაგრამ დიდი დაკვირვებით, ცოდნითა და გემოვნებით აქვს ილიას გარჩეული ვეფხისტყაოსნის მთავარი პერსონაჟების „ბუნების სხვადასხვაობის" საკითხი, თუ როგორ „სხვადასხვა ზემოქმედებასაც ექვემდებარება" ეს „ბუნების სხვადასხვაობა".

ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილის მნიშვნელობა ძალზე დიდია. ეს წერილი სრულიად ახალი, ცოცხალი სიტყვა იყო რუსთველოლოგიაში. ქართველ მკვლევართაგან ილია ჭავჭავაძემ პირველმა განიხილა ვეფხისტყაოსანი ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით. ამ განხილვის შედეგად რუსთაველი მან დამსახურებულად ამოუყენა გვერდში მსოფლიო ლიტერატურის გიგანტებს — ჰომეროსს, შექსპირს და „ძმათა მათ". ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყენა და დაასაბუთა ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეთა სისტემისა და პოემის იდეური შინაარსის გაგების ახალი, უაღრესად ორიგინალური თეორია. მანამდის რუსთველოლოგიური კვლევაძიება არსებითად მარტოოდენ ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემატიკით იფარგლებოდა. ილია ჭავჭავაძემ დაარღვია ეს დრომოჭმული ტრადიცია.

დიდი ილია კარგად გრძნობდა თავისი პოლემიკური წერილის კილოს სიმწვავეს. ამიტომაც წერილის დასასრულში იგი საგანგებოდ შენიშნავდა: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახლად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობთ". მით უფრო უკმაყოფილო და ულმობელი იყო ილია ჭავჭავაძე მკრეხელებისა და განმაქიქებლების მიმართ რუსთველოლოგიურ საკითხებში. როგორც ცნობილია, ივანე ჯაბადარმა ნარ-დონის ფსევდონიმით 1889 წელს პეტერბურგის ყურნალ „ნევერნი ვესტნიკში", მოათავსა ყოველდღიური წერილები „Письма о Грузии." ჯაბადარის წერილები იყო, სასინლად უმეცრული და ცილისწამებანი. ეს წერილები დამამცირებელად ახასიათებდა ქართველი ერის დიდ სულიერ კულტურას და ამ კულტურის დიდებას — რუსთაველის ვეფხისტყაოსანს. ჯაბადარის წერილებმა [illegible] ქართველ საზოგადოებაში [illegible] ვანი-აღშფოთება [illegible] მოიქცა [illegible] — [illegible] რულ-პუბლიცისტური ნაშრომით „ეროვნული ისტორია" ილია ჭავჭავაძემ გამანადგურებელი პასუხი გასცა ჯაბადარის წერილების საისტორიო ნაწილს (რომელიც პირველად დაიბეჭდა). საისტორიო ნაწილს მოჰყვა „წერილების" კიდევ უფრო პასკვილური სალიტერატურო ნაწილი.

ბევრი ითქვა და დაიწერა ჯაბადარის უდიერი წერილების გარშემო. განსაკუთრებული და რამდენადმე შემარიგებლური პოზიცია დაიჭირა გაზეთმა „ნოვოე ობოზრენიემ". ამ გაზეთის რედაქტორმა, ცნობილმა ქართველმა პუბლიცისტმა ნიკო ნიკოლაძემ თუმცა საკმარისად გაკენწლა ჯაბადარი და მთელი რიგი საყურადღებო ორიგინალური მოსაზრებებიც გამოთქვა რუსთაველის შემოქმედებაზე, მაინც გაზეთადებულად ჩათვალა ქართველი საზოგადოების საყოველთაო შეშფოთება. ილია ჭავჭავაძე ვერ დაკმაყოფილა ნ. ნიკოლაძის გამოსვლამ. მეტიც. ილია აშკარად გულნაკლული დარჩა. ეს გულნაკლულობა მან გამოხატა თავისი შესანიშნავი ნარკვევით: „Новое обозрение-ს წერილის გამო".

ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო ქართველ საზოგადოებაში ჯაბადარის გამოდგომით გამოწვეული ფშეგბათა-ღელვა, რომ გამოქვეყნდა მაშინ ახალგაზრდა ორიენტალისტის ნ. მარის წერილი ვეფხისტყაოსნის შესახებ. ნ. მარი ნაჩქარევად და შეუმოწმებლად აცხადებდა, თითქოს ბრიტანეთის მუზეუმში მოიპოვება ვეფხისტყაოსნის სპარსული დედანი „შაჰრიარ-ნამე" (ე. ი. ტარიელ-ნამეო). ნ. მარის ვარაუდი არ გამართლდა, „შაჰრიარ ნამე" არ გამოდგა „ტარიელ-ნამე". მარი მაინც გამოწვევი თავგამოდებით იცავდა თავის აკვიატებულ შეხედულებას ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის უცხოურობაზე. ილია ჭავჭავაძემ ერთხანს მოთმინებით უსმინა ახალგაზრდა მკვლევარს, ბოლოს კი მისებური ბასრი სიტყვები დააწია განთქმულ მეცნიერულ-პოლემიკურ ნარკვევში „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი".

ილია ჭავჭავაძე ბევრს ზრუნავდა ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენისა და გამოცემის საკითხზე. იგი მეთაურობდა ქართველ მეცნიერთა და მწერალთა იმ კომისიას, რომელმაც მოამზადა და გამოაქვეყნა ვეფხისტყაოსნის შესანიშნავი, მდიდრული და მხატვრული, ე. წ. ქართველიშვილისეული გამოცემა 1888 წლისა, დასურათებული ზიჩის მიერ.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ უდიდესი სამსახური გაუწია რუსთაველის უკვდავი პოემის მეცნიერულად შესწავლის, ლიტერატურულად სწორი შეფასების, პოპულარიზაციისა და პუბლიკაციის საქმეს. ვეფხისტყაოსანმა ჩაგონა ილია ჭავჭავაძე როგორც მხატვარი და როგორც მოაზროვნე. ილია ჭავჭავაძის რუსთველოლოგიური ნაშრევი რუსთველოლოგიური მეცნიერების დიდი საუნჯეა.

ნახატი ვლ. ჯაფარიძისა.

ჩვენი წიგნების კვალდაკვალ

გამომცემლის უგის წიგნაკიდან

— ჩვენს ქალაქს სამუშაოდ დროებით ჩამოსულნიც ვერ სტოვებენ. მცირეხნით ჩამოდიან და სამუდამო საცხოვრებლად აქა რჩებიან. — გვითხრა ღიმილით ჩვენმა მასპინძელმა, ხაშურელმა რკინიგზელმა ვანო კოპაძემ და თავის მეუღლეს გადახედა.

— ან უკეთეს ადგილს სად იპოვნიან, — დასძინა ჩვენმა კეთილმა და გულუხვმა დიასახლისმა ისეთი გულწრფელი აღტაცებით, რომ ჩვენც უმალვე ვირწმუნეთ მისი სიტყვა. ამ დროს თვალი წიგნის კარადისაკენ გამექცა და გამეხარდა: ძვირფასი წიგნები ელაგა რკინიგზელის ბიბლიოთეკაში, მრავალფეროვანი და საინტერესო, მათს შორის „ჩვენი საუნჯის" ოცივე ტომი.

— როგორცა ჩანს, ხაშურელებს წიგნები ძალიან ჰყვარებიათ, — ვთქვი და სასაღსო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის „ასი ლექსი" ავიღე თაროდან.

— უყვართ და მერე როგორ! ხშირად რიგიც კი არის ახალ წიგნებზე! — მომიგო მასპინძელმა.

და როცა ქალაქში გავიარეთ, წიგნის მაღაზიები, დავათვალიერეთ, ნათლად დავრწმუნდით ამ სიტყვების სისწორეში. მაღაზიები, რომ ვასხენე, ეს უკვე გადაჭარბებაა. არა, აქ მხოლოდ ორი მაღაზიაა, სადაც წიგნი იყიდება, თუმცა... ჯერ „საქწიგნის" მაღაზიის გამგეს თამარ ლურსმანაშვილს მოვუსმინოთ:

— ოც წელზე მეტია წიგნის მაღაზიაში ვმუშაობ და ასე მგონია, სათითოდ ვიცი, ვის რამდენი და რა წიგნი შეუძენია ჩვენთან. რაიონის ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, მოსწავლეები ჩვენი ხშირი სტუმრები არიან. ბევრი მათგანი ხელმოწერით სარგებლობს და ამდიდრებს თავის ბიბლიოთეკას.

— ამ სტუმრებს შორის რაიონის ხელმძღვანელები თუ არიან? — პირველად ეს შეგეკითხე პატივცემულ თამარს.

— სტუმრები კი არა, მასპინძლები არიან. დღე ისე არ გაივლის, რომ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ზაალ აბაზაძე არ შემოვიდეს, ახალი წიგნები არ შეიძინოს. მას მშვენიერი ბიბლიოთეკა აქვს. ასევე სისტემატურად მოდიან ჩვენთან და იძენენ წიგნებს რაიაღმასკომის თავმჯდომარე ბენედიქტე მაისაშვილი და პარტიის რაიკომის მდივანი კარლო მოწონელიძე.

თამარ ლურსმანაშვილმა სიტყვას საბუთებიც დაამატა. ცალკეული გამოცემების ხელისმომწერთა სიაში ყველა მათგანის გვარი და სახელი ამოვიკითხეთ. ისიც კი გვაჩვენა ვინ რომელი წიგნი შეიძინა თავისი ბიბლიოთეკისათვის.

— ეს წიგნები კი მაინც დაგრჩენიათ თაროზე! — მივუთითე ისეთ ძვირფას გამოცემებზე, რომელთაც თბილისში და საქართველოს სხვა რაიონებში სანთლითაც ვერ იპოვი.

— ეს ხელმოწერის წიგნებია და ზოგიერთი ჩვენი მყიდველი აგვიანებს მათს წაღებას! — მობოდიშებით თქვა მაღაზიის გამგემ და ხელისმომწერთა სია მაჩვენა.

მე მინდოდა რამდენიმე მათგანი გამეცნო ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის, მაგრამ პატივცემულმა თამარმა ისინი „ვერ გაიმეტა":

— შემთხვევით დაგვიანდათ, თორემ სიხარულით მოაწერეს ხელი ამ გამოცემებს. წაიღებენ, აი ნახავთ, თუ რამდენიმე დღეში არ წაიღებენ! — ეს ისეთი დამაჯერებლობით და რწმენით იყო ნათქვამი, რომ არ შემეძლო მისი იმედი არ გამეზიარებინა.

თამარ ლურსმანაშვილთან და გამყიდველ ვერა ციცქიშვილთან საუბრით გამოვარკვიე, რომ მათი სახით ჩვენს წიგნებს მხურვალე პროპაგანდისტები და მეგობრები ჰყავთ, რომ ხაშურში უყვართ წიგნები, მაგრამ...

აი, რამდენიმე მაგრამ:

პირველი — „საქწიგნის" ხაშურის მაღაზია მოთავსებულია ისეთ პატარა შენობაში, როგორც იტყვიან, თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებს. მაღაზიის მუშაკებს არა აქვს იმის საშუალება, რომ წიგნები დაალაგონ დარგების, ჟანრების, მკითხველთა ასაკის მიხედვით. საწყობიც, სადაც წიგნები ინახება, ძალიან ვიწროა და მოუხერხებელი.

მეორე — რაიონის ხელმძღვანელები, რომლებიც წიგნის გავრცელების საქმეში კარგ პირად მაგალითს იძლევიან, საკმაო ყურადღებას არ აქცევენ იმას, თუ ცალკეული მუშაკები როგორ ამდიდრებენ თავიანთ ბიბლიოთეკებს (და გონებრივ ჰორიზონტსაც), რა წიგნებზე მოაწერეს ხელი, რას კითხულობენ და რა აინტერესებთ მათ. ეს კი კარგი, ო, რარიგ კარგი საქმე იქნებოდა!

მესამე — მაგრამ უკვე რაიკავშირის მაღაზიას შეეხება, რომლის გამგეც გიორგი ელეგაშვილია. ამ მაღაზიაში შესვლისთანავე შეატყობთ, რომ ელეგაშვილი და რაიკავშირის ხელმძღვანელები არა სწყალობენ წიგნებს. წიგნებს აქ ერთი პატარა კუთხე აქვს გამოყოფილი, სადაც უთავბოლოდ არის დაყრილი ყოველგვარი სახის ლიტერატურა. რა ჰქნას ამ მკვირცხლმა და თავაზიანმა გოგონამ, სექციონერმა სუსანა აკოფოვამ, წიგნები გაყიდოს, თუ კულტსაქონელი? მან არ იცის წიგნების არც ავტორები და არც სახელწოდებები, შინაარსზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არ იცის იმიტომ, რომ არც დრო გააჩნია საამისოდ, არც საშუალება. არაფერს ვიტყვით ჩვენი შესანიშნავი პოეტების შარშან გამოსულ წიგნებზე, ამ რამდენიმე წლის წინათ გამოცემულ „თბილისის ისტორიასაც" კი არ გასჩენია მყიდველი. ან საიდან უნდა შეიძინოს ადამიანმა, როცა ეს წიგნები ზედა თაროზე, თვალს მოფარებული, მტვერში ამოგანგლული ყრია.

არა, ამხანაგო ელეგაშვილო, წიგნებს ასე არ ჰყიდიან, ასე არ უვლიან, ასე არ ავრცელებენ! თვითეული წიგნს, „საქწიგნის" მაღაზიაში იქნება ის თუ რაიკავშირის მაღაზიაში, მზრუნველი ხელი და მოყვარული გული სჭირდება. თქვენ კი... თუმცა ვნახოთ, შემდეგი სტუმრობისას როგორ დაგვხვდებით და რას გვიჩვენებთ!

...ვბრუნდებოდი ხაშურიდან და ვფიქრობდი:

ხაშურში შესანიშნავი ინტელიგენციაა, შესანიშნავი ახალგაზრდობა. ხაშურში უყვართ წიგნები, მაგრამ მეტი დახმარება, მეტი მზრუნველობა, მეტი გულისხმიერება სჭირდებათ იმ ადამიანებს, რომელთაც წიგნით ვაჭრობის საპატიო საქმე აბარიათ. ყველა კარგი და საინტერესო წიგნი უნდა ამშვენებდეს თვითეული ოჯახის ბიბლიოთეკას. უწიგნოდ ყოველგვარ ლამაზ ავეჯს ყოველგვარი ეშხი დაკარგული აქვს. წიგნი შუქივით უნდა შევიდეს ყველა ოჯახში.

დარწმუნებული ვარ, სულ მალე ასეც იქნება!

ხუტა ბერულავა,

გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი.

ახალგაზრდობა.
ფოტოტიტოდი გ. გოგობიასი.

მთაწმინდის მთავარე დაჰყურებს დედა თბილისს.
და მოგონებებს წიგნივით ფურცლავ...
გლობუსს კი არა,
ასე გგონია, თვით
დედამიწას ატლანტიდან მერიდიანზე მიაბიჯებ უვიზოდ...
ახლა მთაწმინდის
მთავარე მიუხხენსაც ხედავს.
შენი ფანჯრიდან, კარლ შონეველ-ფ,
ლამაზო ბიჭო, ადამიანის ორი ლანდი ჩანს. ისინი კაფეესთან დგანან. ერთს ცალი ფეხი არა აქვს და ვესტფალიის ტყეში მოჭრილი მუხა აქვს ფეხად, მეორეს ორივე ხელი მოპკვეთეს და პროთეზიანი ხელებით პაპიროსს ვერ უკიდებს. ისინი შენსავით ლამაზი ბიჭები იყვნენ ერთ დროს. უნივერსიტეტში მათაც ჰყავდათ საცოლეები... ისინიც კრეფდნენ ალპებში ედელვაისებს სტუდენტობის ჟამს. დღეს ერთი მათგანის ხელები ნემანის პირას მარხია. მეორის ნახევარ სხეულს ტიერნგიის ჭიები ჭამენ.
ხელები არა აქვს ფრიცს, რომ სოროდან გველივით გამოსული შაავ სვასტიკა წამალოს კედლებზე, კარლ. შენა მარჯვენა მოახმარე ფრიც და წაშალეთ ფაშისტური გველის სახება მიუნხენის ქუჩებში.
ფეხები არა აქვს გიუნტენს, რომ გათელოს ფიურერის „მაინ კამპფი". შენ კი ორივე ფეხი საღი გაქვს, კარლ...
მე შენი მჯერა კარლ. გახსოვს ყამირზე ჩამოხვედი მოსკოვის ფესტივალიდან სტუმრად, ყაზახეთში აგვიხლოს ცხელი მზე აცხუნებდა. ჩვენ მივგაბიჯებდით მწიფე ყანაში. კალოზე შენ ტუფლები გაიძრე, რომ არ დაგებიჯებინა ფეხსაცმელი ოქროს მარცვლებისათვის.
მე მწამს, შენი ფეხი არ გეთელავს ადამიანს, კარლ შონეველ-ფ, შენ იცი პურის გემო და ოფლის ფასი!
ვინ იცის კიდევ სად შეგვყრის ბედი, რომელ მერიდიანზე. გახსოვს შენ მღერიდი ტროლერ სიმღერებს, ქართულ „სულიკოს". ახლაც იმ ჰანგს ყურში ჩამჩურჩულებს ნიავი. ძველ შვაბთა შთამომავლის მიერ მწიფე ყანაში ნამღერს ყანაბეთის ცის ქვეშ.
იქნებ ოდესმე მთავრიდან ღამით ამბოხდნენ ძვლები ჩვენთა მამათა.
შავი ფერფლიდან აღდგეკი წუხელ,
სცემს ასი შინთით ნაფლეთი გული.
მე ბუხენვალდში წამებულთ ვეხმე,
ჩონჩხი ვარ კობრას შერკინებული.
ვარ ოსვენცემის მტვერი და ძვალი,
„ჰიმშილით მკლავდნენ, მახრჩობდნენ
გაზით.
მე ამომთხარეს მარწუხით თვალი,
და ჯვარზე მაცვეს გოლგოთის გზაზე.
ოქროს მონაბმა ამგლეჯეს კბილი,
ბეჭედად მიართვეს გერინგის ხასას.
და ძუძუმოჭრილ დედების კიკილს
ერთვოდა ჩემი ბეუღლის ხმაცა.
ტანკით გასრესეს გოგონა
ჩემი,
სვავებმა ჭამეს გულ-
ღვიძლი მისი.
მე ვიხრჩობოდი ვით
ზღვაში გემი.
ზღვა აყო ჩემი გოგონას
სისხლი...
ჩემი ტყავისგან
ხელჩანთა ქსოვეს,
ჩემი ხორცისგან
მოხარშეს კერძი.
ფერფლიდან აღვდექ და
ისევ მოველ
და მკვდარი კაციც
სიავეს ვებრძვი.
მე ისევ ვხედავ სისხლიან
ქისებს,
ხიშტზე აუცვამთ
მოჭრილი თავი...
ხლაზვნით გამოდის
სოროდან ისევ
გველზე საშიში სვასტიკა
შაავ.
მე ცოცხლებს ვუხმობ
დაფდაფის ხმებით,
მე, ბუხენვალდში
აღმდგარი მკვდარი.
საფლავებიდან ამბოხით
ვდგები:
— დარეკეთ ზარი!
დარეკეთ ზარი!

დღეს სტუდენტთა საერთაშორისო დღეა

ფიქრთა აპიდო

მაყვალეტ დიოპ! ზანგო ბიჭო, სადა ხარ ახლა? პაობებიანი ქვეყნიდან მოსულო მაყვალეტ დიოპ! მოსკოვში გეძებდი დიდხანს, ლუმუმბას უნივერსიტეტში, მაგრამ ვერ ვპოვე. გახსოვს, ყამირი... ტამტამების ხმები ფიცხელი, ყაზახური იურტა, ცივი კუმისი და ალმაატური ვაშლი...

„თეთრ ზანგს" გეძახდნენ 19 წლის ჭაღარა ბიჭო, შენმა ამბავმა შემაძრწუნა. ახლაც მესმის ჩურჩული შენი:

... თეთრი ხომალდი მიარღვევს კონგოს... ის ნავსადგურში ჩაუშვებს ლუზას. ვისკით დამთვრალი თეთრკანიანი პირში სავარაგამორჩილი ჯუნგლებში მიდის... ის ქოხს ეძებს და ქალი შია... შენ პატარა ხარ, პატარა დიოპ, და ცრემლი გახრჩობს... თეთრი ხომალდის მეზღვაური ნამუსს ხდის დედაშენს, აგერ შენს თვალწინ... მერე ნაჯახით ხელში მორბის ჭაღარა მამა... მერე ბრაუნინგს ეძღვევა სიტყვა და დაჭრილი მამის ყვირილი ჯუნგლებში კვდება.

თეთრკანიანი ბატონი შენ გიყვირის:

—ყო, შენ, ძაღლის ლუკმო, წყალი მომიტანე და ხელი დამბანინე...

საღა ხარ, დიოპ? რადიოს საგანგაშო ამბები მოჰქონდა აფრიკიდან.

იქნებ შენ დაგახრჩვეს ჩომბეს ჯალათებმა.

ან მახსოვს, დიოპ, შენ მრისხანე სახე გქონდა და იმეორებდი მაიაკოვსკის სიტყვებს: — მე ამერიკას დავბუტრავდი და ხელახლა აღმოვაჩენდი.

შენ მოგწონს მაიაკოვსკი. ჩამოდი ერთხელ საქართველოში, იხილე ლურჯი ბაღდათის ზეცა.

შაავ კონტინენტიდან ხმა მომაწვდინე ბიჭო. შენ სტუდენტობაზე ოცნებობდი. დღეს მოსკოვში ლუმუმბას უნივერსიტეტის კარები ღია. შენ კი სადა ხარ...

მიჩიგანელო ბიჭო, სორელი. მაღალო ბიჭო, ჯეკ.

ვკითხულობ შენს სადარბაზო ბარათს, მე რომ დამიტოვე.

გახსოვს, ჯიტიგარა... სტუდენტთა ბალი ღია ცის ქვეშ. შენ უყრავდი ფლეიტას...

შუაღამისას მოგინდა ვენეციაში დარეკვა. ლოცვასავით იმეორებდი მისამართს: — ვენეცია, შადრევნების 13, ლუჩია დონიკეტი. ცისფერთვალა ქალიშვილი, სატრფო შენი. იტალიის კომკავშირის ერთი მფეთქავი გული, ერთი ძარღვი.

მოტოციკლეტით ჩვენ წავედით ჯიტიგარაში.

ჯიტიგარა — ალმაატა — მოსკოვი — რომი — ვენეცია... იმ ღამეს ევროპის ტელეგრაფის მავთულებს არ ეძინათ.

არ იყო პირველპირი ჯავშირი რომთან.

ვთხოვეთ ვენას,
პარიზს, ბუდაპეშტს.

— არ შეგვიძლია,
— იყო პასუხი.

თეთრად გავათენეთ ჯიტიგარაში.

განთიადისას ხმა ვაწვდინეთ ვენეციას.

ლუჩია დონიკეტი ავად იყო.

... მახსოვს მეორე შეხვედრა შენთან, სორელი. მიჩიგანის უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის გასტროლებზე მოსკოვში.

შენ ინტერვიუს მაძლევდი. ჰყვებოდი ლუჩიას ამბავს. ცისფერთვალა ქალიშვილს ალმოაჩნდა კიბო. შენ ბაგეები გითრთოდა, ჯეკ, როცა ჰყვებოდი ლუჩიას ამბავს. შენ სხოვე ყველა კონტინენტის სტუდენტებს დახმარება და როგორც იმედის მტრედები მოფრინავდნენ ბარათები და წამლები მოსკოვიდან, პარიზიდან, პრაღიდან, პეკინიდან, ტელავივიდან... ლუჩია გადარჩა.

და მისი ღიმილი ჰგავს რაფაელის ფრესკების ღიმილს ვენეციის ცის ქვეშ.

ჟანა ბოკაჟოროო!

ფრანგო ქალიშვილო, ბალეტის ვარსკვლავს გეძახიან, ჭაბუკიანზე ასე უღვთოდ შეყვარებულო. მონმარტრის იასაც გეძახდით.

გახსოვს, გეუბნებოდა ერთი ქართველი სტუდენტი მოსკოვში:

— წერილს მიგწერ ღე გოლს, რომ მონმარტრის ერთი ია მოვწყვიტო...

იისფერი თვალები გაქვს, „უანა ბოკაჟოროო, და კეთილი გული.

მახსოვს შენი ნათქვამი:

— ამხანაგებო! დროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიქმნას სიყვარულის დაცვის კომიტეტი. ასამბლეამ უნდა იმსჯელოს თაფლის თვეზე, საქორწილო მოგზაურობაზე, მე მგონი ეს უფრო საინტერესოა, ვიდრე ატომურ ომზე ლაპარაკი. სიტყვა „ომი" უნდა მოისპოს.

... **ტრიალებს** დეფამიწა თავისი ღერძის გარშემო. სხვადასხვა მერიდიანებზე ვცხოვრობთ ჩვენ, კარლ, ჟანა, ჯეკ, დიოპ, ვუყურებთ ერთ მთვარეს და ერთ მზეს.

ჩვენ ერთხელ ვიყავით ერთად, ყამირზე, სულ ერთ დღეს. გვახარებდა პური არსობისა.

ვინ იცის, იქნებ ხვალ ბედად გვიწერია მ

სახალინი და მისი მხატვარი

ახალგაზრდა ქართველი მხატვარი გივი მანტკავა დაიბადა 1930 წელს თბილისში, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის მიხეილ მანტკავას ოჯახში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის მუშა ახალგაზრდობის სკოლა და მხატვრობით გატაცებული ახალგაზრდა სწავლის განსაგრძობად შევიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. აკადემია 1956 წელს დაამთავრა მხატვარ-დეკორატორის სპეციალობით.

აკადემიის დამთავრების შემდეგ გ. მანტკავა მუშაობას იწყებს საქართველოს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მხატვრის ასისტენტად, ხოლო სულ მალე, 1956 წელს თავისი ოჯახით საცხოვრებლად მიდის სახალინზე. ამჟამად იგი ცხოვრობს და მუშაობს ქალაქ იუჟნო-სახალინსკში. ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრის სახელი პოპულარობით სარგებლობს სახალინელთა შორის.

გივი მანტკავას შემოქმედებით წარმატებებზე მოთხრობილია სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანოს „ლიტერატურნაია გაზეტას“ მომდინარე წლის 18 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ ვლადიმერ კანტოროვიჩის წერილში „სახალინი და მისი მსახვარი“, რომლის თარგმანსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ. ამავე გაზეთის ფურცლებზე პირველ, მეორე და მესამე გვერდებზე მოთავსებულია რეპროდუქციები გ. მანტკავას ოთხი სურათისა: „მეთევზეები“, „მოდის ახალი“, „ნივბური სიყვარული“ და „აგრონომი“.

ვლადიმერ კანტოროვიჩი

ნახალინი ნაბიჯ-ნაბიჯ ეზრდება ადამიანებს, ეზიარებს ადამიანურ ცხოვრებას, ეზიარებს ადამიანურ ბედნიერებას. ეს ბედნიერება ადამიანებს ეძლევა ბრძოლაში, ბრძოლაში ბუნებასთან, ბრძოლაში ადამიანებს შორის, ბრძოლაში ადამიანის ბედნიერებისა და ბედისწერისა.

ნახალინი — ეს ბედნიერ ადამიანთა ბედისწერა, ეს ბედნიერ ადამიანთა ბედისწერა, ეს ბედნიერ ადამიანთა ბედისწერ